

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის

დადგენილება N 25

2008 წლის 18 სექტემბერი

ქ. ქუთაისი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი მოთხოვნების დარღვევასთან
დაკავშირებით შესადგენი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის
ფორმის დამტკიცების შესახებ

“საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის” 92¹ მუხლისა და 239-ე მუხლის მე-9 ნაწილის და “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლი პირველი პუნქტის საფუძველზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

ვადგენთ:

მუხლი 1. დამტკიცდეს თანდართული “ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა ოქმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი”.

მუხლი 2. დამტკიცდეს “საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის” 92¹ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე შესადგენი ოქმის ფორმა და მისი დამცავი ნიშნები” (დანართი N1).

მუხლი 3. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს “საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით შესადგენი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 ოქტომბრის N 23 დადგენილება (სსმ 24.10.2005წ, N 122, მუხ. 1382).

მუხლი 4. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

გ. ჩალაგაშვილი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ შედგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვა-ანგარიშგებას.
2. აღნიშული წესი შემუშავებულია „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს N669 ბრძანებით დამტკიცებული „მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.
3. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომში კომისია) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების (შემდგომში ოქმები) გამოყენებასა და აღრიცხვა ანგარიშგებას ახორციელებს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტისა და ამ წესის საფუძველზე.

მუხლი 2. ოქმების მომარაგება, გადაცემა და დაბრუნება.

- 1 ოქმების მომარაგებას კომისია ახორციელებს დამოუკიდებლად.
2. ოქმების შეკვეთას კომისია აწარმოებს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კანონმდებლობის შესაბამისად შერჩეული პოლიგრაფიულ საწარმოში.
3. ოქმის ფორმების პოლიგრაფიული საწარმოდან გამოტანის უფლება აქვს სათანადო მინდობილობით აღჭურვილ პირს.
4. ოქმის ბლანკების შენახვაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მიერ, ოქმების გაცემა, დაბრუნება და გაუქმება აღრიცხება „ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალში“.

მუხლი 3. ოქმების შენახვა.

ოქმების შენახვა ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად.

ოქმის ბლანკები შენახული უნდა იქნეს ცეცხლგამძლე სეიფში.

სათავსო, სადაც ინახება ოქმები უნდა იყოს ხელშეუხებელი გარეშე პირთათვის და სათანადოდ დაცული დაზიანებისაგან.

ოქმები ინახება ამ ფორმების გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთან ან პირებთან.

ოქმების ბლანკების დამზადებაზე, შენახვაზე, მიღებაზე და შემდგომ მის განაწილებაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირები ვალდებული არიან თვეში ერთხელ აცნობონ კომისიის თავმჯდომარეს ოქმის ბლანკების მოძრაობის შესახებ.

მუხლი 4. ოქმების შევსება და წარმოება.

1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს, უფლებამოსილი თანამდებობის პირები ადგენენ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენისას (დანართი N1).

2. ოქმი ივსება ლურჯი ან შავი კალმით. ოქმში ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით. დაუშვებელია გადახაზვა, გადაფხეკა, გადაშლა და ა. შ. ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი ოქმი, ძველი დაიხაზება ჯვარედინად, რომელსაც ოქმის შემვსები მოხსენებითი ბარათით, გაუქმების მიზეზების მითითებით აბარებს ოქმის გამცემს.

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში აღინიშნება:

- ა) ოქმის შედგენის თარიღი და ადგილი;
- ბ) ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი მამის სახელი და გვარი;
- გ) მონაცემები დამრღვევის შესახებ;
- დ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი;
- ე) ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის;
- ვ) მოწმეთა ან/და დაზარალებულთა სახელები, გვარები და მისამართები თუ ასეთები არიან;
- ზ) დამრღვევის ახსნა-განმარტება;
- თ) საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები.

ოქმს ხელს აწერს მისი შემდგენი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი, თუ არიან მოწმეები და დაზარალებულები ოქმს ხელი შეიძლება მოაწერონ ამ პირებმაც.

იმ შემთხვევაში თუ სამართალდამრღვევი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი. სამართალდარღვევის ჩამდენს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტებები და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე ჩამოაყალიბოს მის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები. ოქმის შედგენისას დამრღვევს უნდა განემარტოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობანი, რაც აღინიშნება ოქმში.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი დგება სამ ეგზემპლარად. შედგენილი ოქმის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შესაბამისად შემოწმებულ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რაზედაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი. ოქმის მე-2 ეგზემპლარი რჩება ოქმის გამოყენებაზე უფლებამოსილ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში, ხოლო მე-3 ეგზემპლარი იგზავნება სასამართლოში.

შევსებული ოქმი მისი შედგენიდან არა უგვიანეს მეორე სამუშაო დღისა რეგისტრირებულ უნდა იქნეს სპეციალურად ზონაგაყრილ და დანომრილ წიგნში და შემდგომი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ

უნდა გადაეგზავნოს იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმე.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 270-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შემდგენი ვალდებულება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ოქმის შედგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში აცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

მუხლი 5. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის/ოქმების ჩამოწერა.

1. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის/ოქმების ჩამოწერა შეიძლება:

- ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომების გამო;
- ბ) ოქმების ფიზიკური დაზიანების გამო.

2 გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის/ოქმების ჩამოწერა უნდა მოხდეს ჩამოწერის აქტის (დანართი N2) მიხედვით. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის/ოქმების ექსკლუზიური ნუმერაცია შეტანილ უნდა იქნეს მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) ჩამოწერის აქტში.

3. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის/ოქმების უტილიზაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის
მიერ შედგენილი ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა ოქმის ფორმა და მისი
აღწერილობა

მკაცრი აღრიცხვის ფორმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი უნდა აკმაყოფილდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) მკაცრი აღრიცხვის ფორმა უნდა დამზადდეს A-4 ფორმატის წყლის ნიშნიან ქაღალდზე;
- ბ) მისი ზედაპირი დაფარული უნდა იყოს დამცავი (გილოშერული) ბადით;
- გ) ყველა ხაზი შესრულებული უნდა იყოს მიკროშრიფტით უწყვეტი წარწერით _ "საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია";
- დ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი იბეჭდება აგურისფერში;
- ე) ტექსტი იბეჭდება შავ ფერში;
- ვ) თითოეული ოქმი უნდა დამზადდეს სამ ეგზემპლარად, რომელთაგან პირველი ეგზემპლარი წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის ფორმას.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N

..... 200 წ.
(შედგენის ადგილი)

1. შემდგენი:

.....
.....(თანამდებ
ობა, სახელი, მამის სახელი, გვარი)

2. დარღვევის ადგილი, დრო, არსი:

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

3. დამრღვევი:

.....
(იურიდიული/ფიზიკური პირი, მისამართი, ტელეფონი)

.....
.....
დამრღვევის ახსნა-განმარტება:
.....
.....
.....

4. მოწმე(ები):
(გვარი, სახელი, მისამართი)
.....

5. კვალიფიკაცია: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი

6. ოქმზე თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი (მათი არსებობის შემთხვევაში)
.....
.....

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი, საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით, ისაუბროს დედაენაზე და თუ არ იცის მიმდინარე სამართალწარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია პასუხისგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილული იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე.

ოქმის შემდგენი: /...../
(ხელმოწერა)

მოწმე: /...../
(ხელმოწერა)

ოქმის შემდგენი: /...../
(ხელმოწერა)

დამრღვევი: /...../
(ხელმოწერა)

მოწმე: /...../
(ხელმოწერა)

შენიშვნა:
.....
.....
.....

დამკვეთი: საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია
დამამზადებელი:

ს ფ ს რეგისტრაციის N

მკაცრი აღრიცხვის ფორმის ჩამოწერის აქტი N

„-----“ ----- 200 წელი

გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმის ჩამოწერის შესახებ

N	მკაცრი აღრიცხვის ფორმის სახე	რაოდენობა	მკაცრი აღრიცხვის ფორმის სტამბური ნომერი	მკაცრი აღრიცხვის ფორმის სარეგისტრაციო ნომერი
1				
2				
3				

კომისია ხელმოწერით ვადასტურებთ აქტის მიხედვით წარმოდგენილი უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმის ნიმუშების ჩამოწერის სისწორეს

საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე

წევრები:

მდივანი:

მკაცრი აღრიცხვის ფორმების შენახვა-გაცემაზე პასუხისმგებელი პირი